პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 21 (13415) | ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ კოლექტივმა იკისრა 1966 წელს მიაღწიოს 31 ტონა ლითონის ეკონომიას. ამ პატრიოტულ საქმეში თავი გამოიჩინეს ქარხნის მოწინავე მუშებმა: ვ. ნადირაძემ (სურათზე მარცხნიდან), ნ. გიორგაძემ, ც. ხვედელიანმა და ე. პოპოვამ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 იანვარს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. გ. სტურუამ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ო. კობახია,** მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. გ. გობრონიძე,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. დ. თხელაიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გ. დ. ყიფიანი,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ამხ. **ო. ვ. თაქთაქიშვილი,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ნ. ჯუხოევი,** საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ს. ფ. ჭკადუა,** საქართველოს ალკაზ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ზ. დ. აბაზაძე,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. დ. კიკნაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვ. დ. კუპრავა,** საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. ი. გონაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **კ. კ. გარდაფხაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. **ს. ე. ჭილაია.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის სახალხო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **მ. ი. კუჭავა.** (საქდესი).

ულოცავენ ინდოელ ხალხს

ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების მე-16 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ს. რადჰაკრიშნანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა ხალხისა და პირადად თავისი სახელით გულთამადად ულოცავს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს ინდოეთის პრეზიდენტსა და ხალხს.

დეპეშაში ნათქვამია: „სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განუხრელად განვითარება შესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს და ხელს უწყობს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ მიზანს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება“.

ინდოეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ულოცავს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს ინდოელ ხალხსა და ინდოეთის მთავრობას საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით.

„საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა, — აღნიშნულია დეპეშაში, — დიდად აფასებენ ჩვენი ქვეყნების მეგობრობასა და თანამშრომლობას, რასაც, საფუძველი ჩაუყარა ინდოელი ხალხის დიდმა შვილმა ჯავაჰარლალ ნერუმ და რაც კიდევ უფრო განვითარდა, როცა რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა ჯ. ნერუს ერთგული თანამებრძოლი ლალ ბაჰადურ შასტრი.

ჩვენი მეგობრობა კეთილმეზობლური ურთიერთობის მაგალითია. იგი კეთილაყოფიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაზე და ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას. აზიის მშვიდობის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტაშკენტის ამასწინანდელ დეკლარაციას, რომელიც რეალურ საფუძველს ქმნის, რომ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მშვიდობის ატმოსფერო დამყარდეს“.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა კვლავაც წარმატებით განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ეროვნული დღესასწაული მიეფლოცა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. სინგჰს.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კანადის ელჩი რ. ფორდი

24 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კანადის ელჩი საბჭოთა კავშირში რობერტ ფორდი მისივე თხოვნით. ელჩმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა კანადის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. პირსონის წერილი, რომელშიც კმაყოფილებას გამოთქვამს ტაშკენტში ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის ამასწინანდელი შეხვედრის შედეგების გამო და მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მთავრობის როლს ამ შეხვედრის ორგანიზაციასა და ჩატარებაში. ა. ნ. კოსიგინმა ელჩის პირით მადლობა შეუთვალა პრემიერ-მინისტრ ლ. ბ. პირსონს წერილისათვის. ბატონმა რ. ფორდმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა აგრეთვე კანადის მთავრობის მეთაურის წერილი, სადაც იგი მადლობას უხდის ა. ნ. კოსიგინს მისასალმებელი დეპეშისათვის, რომელიც გაუგზავნა კანადის პრემიერ-მინისტრად ლ. ბ. პირსონის ხელახლა არჩევასთან დაკავშირებით. (საკდესი).

მიესალმებიან ტაშკენტის შეხვედრის წარმატებას

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს კვლავ მოსდით დეპეშები სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისაგან ამასთან დაკავშირებით, რომ ტაშკენტში წარმატებით დამთავრდა პაკისტანის პრეზიდენტისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრები.

საბჭოთა მთავრობამ, აღნიშნულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის დეპეშაში, ხელი შეუწყო ინდოეთ-პაკისტანის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. „მსოფლიო საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის ეს კეთილშობილური ნაბიჯი გამოხატავს მის ჭეშმარიტ მშვიდობისმოყვარეობასა და ზრუნვას სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობისათვის საყოველთაო მშვიდობის შესანარჩუნებლად“.

ა. ნ. კოსიგინის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი წერს: „მხურვალედ გილოცავთ სსრ კავშირის ნაყოფიერ მონაწილეობას ტაშკენტის კონფერენციაში, რომლის დადებითი შედეგები, დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის მოწესრიგების საშუალებათა დამკვიდრებას“.

ზამბიის პრეზიდენტი კ. კაუნდა ნ. ვ. პოდგორნისათვის გამოგზავნილ დეპეშაში იმედს გამოთქვამს, რომ მშვიდობიან შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, პატივისცემით მოეკიდებიან და შეასრულებენ ინდოეთი და პაკისტანი. აგრეთვე იმედი გვაქვს, ნათქვამია დეპეშაში, რომ ამ შეთანხმებას მოჰყვება ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაცია.

საბჭოთა კავშირმა, ნათქვამია ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯ. ნიერერეს დეპეშაში, დაიმსახურა აღტაცება და მადლობა არა მარტო ინდოეთის და პაკისტანის ხალხებისა, არამედ მთელი მსოფლიოს სხვა ხალხებისაც, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ საერთაშორისო დავა წყდებოდეს მშვიდობიანი გზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად.

ლიბერიის პრეზიდენტი უ. ტუბმენი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის როლს ინდოეთსა და პაკისტანს შორის მშვიდობის განმტკიცებაში და უწოდებს მას „დიდმნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო საქმეების მშვიდობიან მოწესრიგებაში“. შემდეგ იგი წერს: „ლიბერიის ხალხის სახელით და პირადად მხურვალედ გილოცავთ თქვენ“.

ტუნისის პრეზიდენტმა ჰ. ბურგიბამ ა. ნ. კოსიგინისათვის გამოგზავნილ დეპეშაში იმედი გამოთქვა, რომ ტაშკენტის შეთანხმება „დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება ძალის გამოუყენებლად სახელმწიფოთა შორის დავის გადაჭრის საქმეში“. შემდეგ პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტუნისი „ღირსეულად აფასებს ღონისძიებებს, რომლებსაც დაუცხრომლად მიმართავს სსრ კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

„ნება მიბოძეთ დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც შეთანხმებულია ტაშკენტის შეხვედრის დროს და აისახა ტაშკენტის დეკლარაციაში, — ნათქვამია დეპეშაში, რომელიც ა. ნ. კოსიგინმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ თანისაგან. — ...იმედი მაქვს, რომ ტაშკენტის დეკლარაცია ეფექტიანი ნაბიჯი იქნება ამ რაიონში მტკიცე მშვიდობის დამყარების გზაზე“.

ინდოეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელთა ტაშკენტის შეხვედრების გამო ა. ნ. კოსიგინს მოლოცვა გამოუგზავნა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა.

მამაცობისათვის

მამაცობისათვის, რომელიც გამოიჩინა სარეისო ავტობუსის ავარიის თავიდან ასაცილებლად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დაჯილდოდა (სიკვდილის შემდეგ) სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ავტობაზის შოფერი მიხეილ ნიკოლოზის-ძე მიტროფანოვი.

მნუობრული ჩაღება
მესამე მილსადენი დგება

რუსთავი, 25 იანვარი. (საქდესი). დღეს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი, სათვალავით მესამე მილსადენი დგანი.

თავისი წინამორბედებისაგან ეს დგანი ამით განსხვავდება, რომ მისი საშუალებთ შეიძლება მილების წინა ნაწილის მოჭიმვა აღიდგამდეს. ეს აღიდგებს დგანის მწარმოებლობას და, რაც მთავარია, აუმჯობესებს ცივნაგლინი მილების ხარისხს.

პირველსავე დღეს ახალმა დგანმა გამოუშვა ათობით ტონა პროდუქცია, სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ მისი მწარმოებლობა ოთხ-ხუთჯერ გადიდდება.

ჩინებულად იმუშავეს ახალ დგანზე ოსტატმა ა. სუჩინსკიმ, უფროსმა ოსტატმა ვ. კაკაძემ, ელექტრიკოსმა ფ. პოპოვმა და მილსადენდავი საამქროს უფროსის თანაშემწემ ი. კაკაჩიამ.

დღესვე ქარხანამ კიდევ ერთი დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა: მილსადენდავ საამქროში დამთავრდა ცივი გლინვის ორი დგანის მონტაჟი. მათი ამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად გადიდდება ცივნაგლინი მილების გამოშვება.

რუსთაველი მეტალურგიები თავიანთ შრომითს გამარჯვებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას უძღვნიან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა გასწიეს მუშაობა, რათა მოემზადებინათ წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების გამო.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავებას და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მომზადებას, რომელიც 1966 წელს გაიმართება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაავალა შეისწავლოს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამო, რომლებიც წარმოადგინეს ბევრმა რაიონმა, ოლქმა, მხარემ, რესპუბლიკამ, სამეცნიერო დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ, აგრეთვე მშრომელთა წერილებში გამოთქმული წინადადებანი, და შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი.

კომისიის შემადგენლობა:

ლ. ი. ბრეჟნევი (თავმჯდომარე) — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

კ. აბდრაიმოვი — ყირგიზეთის სსრ ოშის ოლქის ლენინის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ვ. ა. აბრამოვი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის კათედრის გამგე

ვ. კ. ადომავიჩიუსი — ლიტვის სსრ კაუნასის რაიონის ჩერნიახოვსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ს. ფ. ალექსეევი — გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი

ი. ვ. ანდროპოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ვ. ი. ახუნდოვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

დ. ბაადალოვი — უზბეკეთის სსრ ანდიჯანის ოლქის პარტიის ანდიჯანის რაიკომის პირველი მდივანი

ფ. ნ. ბაზუევა — უდმურტეთის ასსრ ზავიალოვის რაიონის კოლმეურნეობა „რუსეთის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი

ე. - რ. ა. ბეეკი — ესტონეთის სსრ ტარტუს რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარე

ა. ნ. ბელოვი — კალინინის ოლქის კაშინის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პუტილოვეცის“ თავმჯდომარე

ს. ე. ბეშულია — დონეცკის ოლქის მარიინკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტიაბრის“ თავმჯდომარე

ი. ი. ბოდიული — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

დ. ბურიევი — თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ა. ა. ბოჩკარიოვი — სარატოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე

ნ. დ. ბუბნოვსკი — უკრაინის კომპარტიის ხმელნიცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ბ. ბ. ბუზნიცკი — კიევის ოლქის მარონოვკის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. ა. ვაუშკოვი — არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარე

რ. ო. ვერო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ა. მ. ვორონეცკი — გროდნოს ოლქის სვისლოჩის რაიონის კოლმეურნეობა „გვარდიის“ თავმჯდომარე

გ. ი. ვორონოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ი. ვოლტოვსკი — უკრაინის კომპარტიის სუმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

მ. ლ. გაიდარი — პოლტავის ოლქის სემიონოვკის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

შ. მ. გასანოვი — აზერბაიჯანის სსრ ფიზულის რაიონის კოლმეურნეობა „I მაისის“ თავმჯდომარე

მ. ბ. ღვინჯილია — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ა. ვ. გეორგიევი — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

ა. ვ. გიტალოვი — კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი

შ. ს. გლუხაჩოვი — ხარკოვის ოლქის ბოგოდუხოვის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს უფროსი

ბ. ვ. გლუშკო — მოლდავეთის სსრ ორგეევის რაიონის კოლმეურნეობა „ვიაცა ნოუს“ თავმჯდომარე

ნ. ნ. გოლოვაცკი — ალმა-ატის ოლქის პანფილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წლისთავის“ თავმჯდომარე

ა. ვ. გორშკოვი — ვლადიმირის ოლქის გუს-ხრუსტალნის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე

მ. ი. გრიგალიუნასი — ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

შ. მ. გრინკო — ალტაის მხარის შიპუნოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „როდინას“ თავმჯდომარე

ვ. ვ. გრიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე

კ. ნ. გრიშინი — სკკპ რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ნ. მ. გურეევი — ლუგანსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე

ნ. ბ. გუსევი — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ვ. გ. დემიდიანკო — ნოვოსიბირსკის ოლქის ტატარკის რაიონის კოლმეურნეობა „ციმბირის“ თავმჯდომარე

ა. ნ. დემიჩევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

პ. ს. დოლგოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

პ. ე. დოროშევკო — უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ვ. ტ. დუბაკინი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. დუსოვი — უზბეკეთის სსრ ხვარაზმის ოლქის ხაზარასპის რაიონის ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ი. ა. ეგუდინი — ყირიმის ოლქის კრასნოგვარდეისკოეს რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბა ნაროდოვ“-ის თავმჯდომარე

ლ. ნ. ეფრემოვი — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

ი. ნ. ზარობინი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ი. ნ. ზოლოტოვა — ტამბოვის ოლქის ტოკარევსკის რაიონის კოლმეურნეობა „პამიატ ილიჩა“-ს მთავარი აგრონომი

გ. ს. ზოლოტუხინი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

ვ. მ. კაშუნი — ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. კაკაბაძე — თურქმენეთის სსრ კუნია-ურგენჩის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე

ი. ვ. კაკიბოლოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ვ. ა. კარლოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი

ფ. მ. კაულინი — ლატვიის სსრ ოგრის რაიონის კოლმეურნეობა „ლაჩპლესის“ თავმჯდომარე

ვ. ფ. კაცაპირი — ლვოვის ოლქის ბროდის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ ეკონომისტი

ა. ა. კირილენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნ. ს. კნორი — ლუგანსკის ოლქის კრასნოდონის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ კომუნიზმუ“-ს მეღორეობის ფერმის გამგე

ი. ა. კობჩიკოვა — ჟურნალ „კრესტიანკის“ მთავარი რედაქტორი

ს. გ. კოლესნიკოვი — ტომირიაზევის სახელობის სახოფლო-სამეურნეო აკადემიის კათედრის გამგე, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ვ. ბ. კოზიცინი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. ბ. ზიმიანინი — ყირიმის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინა“-ს ბრიგადირი

ა. ა. ტარჩოკოვი — უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის ბერდიჩევის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ი. ა. მიშოვი — კუიბიშევის ოლქის კოშაის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი

ა. ნ. მეშუტინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

ხ. ა. მიანიკი — ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ა. ნაზიროვი — ტაჯიკეთის სსრ რეგარის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. ს. ნეგრუ-ვოდე — მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ზ. ნ. ნურიევი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ბ. პ. ოგოლენსკი — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

ბ. ოვეზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბ. ვ. ოგანესიანი — სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

კ. პ. ორლოვსკი — მოგილიოვის ოლქის კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ თავმჯდომარე

მ. ფ. ორაბაველიძე — საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. ი. პელშე — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ა. ი. პერსისტი — ხერსონის ოლქის ნოვოვორონცოვკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი

ა. ნ. პეტროვი — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნ. ვ. პოდგორნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ვ. ა. პოჟიდაევი — ომსკის ოლქის ტუკალინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ კომუნიზმუ“-ს ტრაქტორისტი

დ. ს. პოლიანსკი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბ. ნ. პონომარიოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. ა. პოსპიხინი — ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის სკკპ XXI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

პ. ა. პროზოროვი — კიროვის ოლქის კუმენის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის“ თავმჯდომარე

ტ. ს. პრიახინი — მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი ლუჩ“-ის თავმჯდომარე

ი. ი. რაზუმოვსკი — გორკის ოლქის ჩკალოვის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარე

დ. რ. რასულოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

კ. ტ. მაზუროვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ა. ნ. მაკსუმოვი — ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

პ. ა. მალინინა — კოსტრომის ოლქის კოსტრომის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 12 წლის“ თავმჯდომარე

ტ. ს. მალცევი — კურგანის ოლქის შადრინის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინა“-ს აგრონომი-მემანდვრე

ი. ი. მარკინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორენბურგის ოლქის ასეკეევკის რაიკომის პირველი მდივანი

მ. მაჰმადალიევი — ტაჯიკეთის სსრ ვოსეიხის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

დ. მახრამოვი — თურქმენეთის სსრ კერკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარე

ვ. ვ. მაცკევიჩი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი

კ. ა. მაციავიჩიუსი — ლიტვის სსრ კედაინიაის რაიონის კაროლის პოჟელას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

პ. მ. მაშეროვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

მ. ს. მელკონიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

გ. ა. მელნიკი — უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ვ. პ. მეჟავანაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ა. ი. მიკოიანი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

გ. მ. მირზოევი — აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ი. ა. მიშოვი — კუიბიშევის ოლქის კოშაის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი

ა. ნ. მეშუტინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

ხ. ა. მიანიკი — ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ა. ნაზიროვი — ტაჯიკეთის სსრ რეგარის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. ს. ნეგრუ-ვოდე — მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ზ. ნ. ნურიევი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

კ. პ. ოგოლენსკი — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

ბ. ოვეზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბ. ვ. ოგანესიანი — სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

კ. პ. ორლოვსკი — მოგილიოვის ოლქის კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ თავმჯდომარე

მ. ფ. ორაბაველიძე — საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ა. ი. პელშე — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ა. ი. პერსისტი — ხერსონის ოლქის ნოვოვორონცოვკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი

ა. ნ. პეტროვი — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნ. ვ. პოდგორნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ვ. ა. პოჟიდაევი — ომსკის ოლქის ტუკალინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ კომუნიზმუ“-ს ტრაქტორისტი

დ. ს. პოლიანსკი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბ. ნ. პონომარიოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. ა. პოსპიხინი — ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის სკკპ XXI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

პ. ა. პროზოროვი — კიროვის ოლქის კუმენის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის“ თავმჯდომარე

ტ. ს. პრიახინი — მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი ლუჩ“-ის თავმჯდომარე

ი. ი. რაზუმოვსკი — გორკის ოლქის ჩკალოვის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარე

დ. რ. რასულოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ტ. რ. რაზიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ი. ი. რობაჩოვი — ყირგიზეთის სსრ ისიკ-ყულის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარე

მ. გ. როგინეცი — უაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

ე. ი. როგოჟინი — ლიპეცკის ოლქის იზმალკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზნამია ლენინა“-ს სარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარე

ა. ჰ. რუდაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ნ. ა. რუდენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე

ხ. საიბბაევი — უზბეკეთის სსრ ანდიჯანის ოლქის ნამანგანის რაიონის XXII პარტ

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔ, ᲣᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ!

ᲡᲐᲯᲐᲚᲮᲝ ᲮᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲕᲐᲚᲘ №31

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲯᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲝᲗ ᲡᲐᲗᲑᲝᲑᲘ, ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲯᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო ჯონტროლის კომიტეტში მოსმენილ იქნა აჭარის ასს რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტების თავჯდომარეების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის დ. ჩხეიძის მოხსენებანი სახალხო მეურნეობაში ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და საათობის მომეურნეობით ხარჯვის თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების მასობრივი შემოწმების მდგომარეობის შესახებ.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ შემოწმების მსვლელობაში უკვე მიღწეულია ეკონომიური შედეგები საათობა-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მომეურნეობით ხარჯვის საქმეში.

ასე, მაგალითად, თბილისის საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1965 წლის 11 თვეში დაზოგულია 19 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში სახალხო კონტროლის ჯგუფის წინადადებით მოკლე ვადაში განხორციელდა საშრობ ღუმელებში ტემპერატურის ავტომატური რეგულირების, სტატიკური კონდენსატორების ბატარეების ჩართვის, ელექტროღუმელების, ავტოკლავების თბოიზოლაციის გაუჯობესების და სხვა სამუშაოები, რამაც 1965 წლის 11 თვის განმავლობაში უზრუნველყო თითქმის 700 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში სახალხო კონტროლის ჯგუფის ინიციატივით № 22 დანადგარზე სითბოგადამცემის შეცვლისა და № 5 საამქროში მუშაობის რაციონალური რეჟიმების დანერგვის შედეგად 1965 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაზოგულია 1800 ტონაზე მეტი სათბობი, № 4 საამქროში — 7 ათასი მანეთის ორთქლი, ხოლო მთლიანად ქარხანაში სათბობის ხვედრითი ხარჯვა შემცირდა 0,7 პროცენტით.

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის ცალკეულ წინადადებათა განხორციელებამ უზრუნველყო 200 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფმა შემოწმების მსვლელობაში, მიაღწია რა ზოგიერთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების განხორციელებას, კერძოდ „320“ დგანის მეთოდური ღუმელის სითბური რეჟიმის მოწესრიგებას, „1000“ დგანის სახურებელ ჭუბში ძილოვანი რეჟიმერატორების ჭვიტულით შეცვლას, უზრუნველყო 1300 ტონაზე მეტი პირობითი სათბობის ეკონომია.

ქ. ფოთის საწარმოთა და ორგანიზაციათა სახალხო კონტროლის ჯგუფების აქტიური მუშაობის მეოხებით არა მარტო აღმოიფხვრა ელექტროენერგიის გადახარჯვის ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა შემოწმებამდე, არამედ მიღწეულია ეკონომია სულ 300 ათასი კილოვატ-საათის ოდენობით და ა. შ.

ამავე დროს სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა, რომ მასობრივი შემოწმების ორგანიზაცია როგორც აღნიშნულ, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სახალხო კონტროლის ზოგიერთი კომიტეტი და ჯგუფი არ ახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას მასობრივი შემოწმებისადმი, იუდად ზრუნავს იმისთვის, რომ უფრო ფართოდ ჩაბან მასში მშრომელები.

ბევრ საწარმოში არ იღებენ საჭირო ზომებს შემოწმების მსვლელობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ელექტრული და სითბური ენერგიის მფლანგველურ ხარჯვაში დამნაშავე პირები ყოველთვის როდი ხდებიან საზოგადოებრივი გაკიცხვის საგანი და დაუსჯელი რჩებიან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო (უფროსი დ. ჩხეიძე, მთავარი ინჟინერი ი. მამალაძე) შეუწყნარებელ აუჩქარებლობას იჩენს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომ მკვეთრად შეამციროონ ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, რამაც 1965 წლის 11 თვეში შეადგინა 803 მილიონი კილოვატ-საათი, ანუ 16,1 პროცენტი. ნაცვლად იმისა, რომ დაადგინოს ესოდენ დიდი დანაკარგების (რაც ორჯერ და მეტად აღემატება სსრ კავშირში არსებულ საშუალო დანაკარგებს) მიზეზები, მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა მათ აკუთვნებს ადრე სამმართველოსათვის გადაცემული დაბალ ძაბვის ქსელებს საჭალაჭი და სასოფლო ქსელების გაუმართავობას, აგრეთვე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის დატაცების ფაქტებს. მართალია, ამას აქვს ადგილი, მაგრამ ქსელში ელექტროენერგიის გაშვებისა და მომხმარებელთათვის მისი რეალიზაციის არსებული საერთო ბალანსებიდან დანაკარგები დაბალი ძაბვის ქსელებში შეადგენს 224 მილიონ კილოვატ-საათს, ხოლო მაღალი ძაბვისაში — 579 მილიონ კილოვატ-საათს, ანუ მთელ ქსელებში დაკარგული ელექტროენერგიის სამ მეოთხედს.

ჯერ კიდევ არასაკმარისია თბოსადგურების საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვის შესამცირებლად მიღებული ზომები. ხშირი ავარიებისა და ავარეგატების უნაყოფო მუშაობის გამო თბილისის თბოელექტროსადგურში 1965 წელს „საქმთავარენერგოს“ სისტემისათვის გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე დაშვებულია 24 ათასი ტონა პირობითი სათბობის გადახარჯვა.

დღემდე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ერთ მესამედზე მეტი უმრიცხველო აბონენტებს წარმოადგენს და 8 ათას ასეთ ობიექტს უდგენენ ანგარიშებს წელიწადში 200 მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ხარჯისათვის. განსაკუთრებით ბევრი უმრიცხველო ელექტრომომხმარებელია „საქენერგოგასაღების“ თბილისის, ქუთაისისა და ფოთის განყოფილებათა მომსახურების ზონებში.

კომისია აღნიშნა, რომ განსაკუთრებით სუსტად არის ორგანიზებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ავტოსატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებში ელექტროენერგიისა და საათობის ხარჯვის მასობრივი შემოწმება.

1965 წლის 1 დეკემბრისათვის ერთი ჰექტარი ფართობის რბილი ხეხილისათვის დახარჯულია 16 კგ. დიზელის საათობი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 13,8 კილოგრამისა, რის შედეგადაც დიზელის საათობის საერთო გადახარჯვამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგინა 8 ათასი ტონა. განსაკუთრებით დიდძალი დიზელის საათობია გადახარჯული ბოგდანოვკის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, აბმეტის, ლაგოდეხის, ბოლნისის, დუშეთის, წულუკიძის, ვანის რაიონებში და აფხაზეთის ას რესპუბლიკაში.

მართალია, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში მთლიანად მიღწეულია बენზინის ეკონომია, მაგრამ ზოგიერთი ავტომეურნეობა უშვებს მის გადახარჯვას, სწვევის მომეურნეობით ხარჯვის არსებულ დიდ რეზერვებს კი ძალზე არადამაკმაყოფილებლად იყენებს. მაგალითად, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო ტრესტში 1965 წლის 9 თვეში დაშვებულია 2 მილიონ ლიტრზე მეტი बენზინის გადახარჯვა. ძალიან დაბალია ტონაჟის გამოყენების, ავტომობილის გარბენისა და მისაბმელების პარკის გამოყენების კოეფიციენტები, რომელთა გადიდების შედეგად დაიზოგებოდა დიდი ოდენობით საწვავი.

კომიტეტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ აღნიშნულ შემოწმებებში სუსტად არიან ჩაბმული სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი, რაციონალიზატორები და გამომგონებლები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, აგრეთვე სუსტად არის უზრუნველყოფილი მასობრივი შემოწმების მომდინარეობის საკანონმდებლო საფუძველი.

საათობა-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კომიტეტმა მოითხოვა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მუშაობა მასობრივი შემოწმების ორგანიზაციისათვის. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და სახალხო კონტროლის ყველა ორგანოს მხრივ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის უყურადღება მიეპყრო იმას, რომ არ იღებენ აქტიურ ზომებს მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, ქსელებში მისი დანაკარგების შემცირებისა და ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი გამოყენებისათვის.

ცნობად იქნა მიღებული ამხ. დ. ჩხეიძის განცხადება, რომ „საქმთავარენერგო“ შეუდგა მუშაობას მრიცხველების დასადგმელად იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელთაც ისინი არა აქვთ.

რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და ჯგუფებს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ გააქტიურონ მუშაობა ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და საათობის მომეურნეობით ხარჯვის მასობრივი შემოწმებისათვის, მაქსიმალური რაოდენობით ჩაბან მასში სპეციალისტები, მუშა-მოსამსახურენი და კოლმეურნეები, უპირატესად სახალხო შემოწმებად გახდონ ეგი, მიიღონ აქტიური ზომები გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და სათბობა-ენერგეტიკული რესურსების მფლანგველური ხარჯვის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ 1966 წლის პირველ კვარტალში მოსმენილ იქნას კომიტეტში სახალხო კონტროლის ზოგიერთი კომიტეტისა და ჯგუფის მოხსენებანი იმ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესახებ, რომლებიც მასობრივი შემოწმების მსვლელობაში ხორციელდება. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისათვის ბრძოლაში აქტიურობის გაძლიერების მიზნით სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოებისათვის დასახმარებლად მივლინებულ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

ᲐᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚ და ლენინგრადელ პატრიოტთა თაოსნობას მომეურნეობის, უყაირათიანობის საკითხებზე მხურვალედ გამოეხმაურნენ გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეურნეობის სახალხო კონტროლიორებს — აგრონომ კ. გელენიძეს (მარცხნიდან პირველი). სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს გ. კირილჩენკოს და მუშა ი. ბაბაევს. ისინი მსჯელობენ საწვავი მასალის ეკონომიის, წარმოების ტექნიკის, დაუფლების საკითხებზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲔᲡ

ᲭᲝᲠᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ

ᲡᲝᲩᲚᲘᲡ კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა წერილი, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილთან დაკავშირებით საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ტ. ჩაჩანიძე რედაქციას სწერს: წერილში — „ქორეთელების სატკივარი“ აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეიცავს.

რაისაბჭოს აღმასკომმა დავალება მისცა საჩხერის ავტოსატრანსპორტო კანტორას დანიშნოს მგზავრთა მომსახურებისათვის საჩხერე-ქორეთის ხაზზე ავტობუსი პირველი შესაძლებლობისთანავე, ხოლო სოფლის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით რაიკოპერატივის გამგეობას დაევალა უზრუნველყოს მაღაზია პირველი მოთხოვნილების საგნებით და არ დაუშვას შეფერხება ამ საქონლით ვაჭრობაში. ამასთან ერთად გაცნობეთ, რომ წელს დაგეგმილია სოფელ ქორეთში აიგოს ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიის შენობა, რომლის მშენებლობაც უახლოეს დროში დაიწყება.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ

ᲛᲔᲛᲒᲚᲔᲑᲛᲐ მახარაძის რაიონის სოფელ ბახვიდან გამომიგზავნეს სასწრაფო დეპეშა, რომ მეორე დღეს დილით დავსვედროდი მატარებელზე ერთ-ერთ ნათესავს. ეს დეპეშა გამოგზავნილია ბახვიდან 12 იანვარს 16 საათსა და 40 წუთზე. მიღებულია თბილისში კავშირგაბმულობის 49-ე განყოფილების მიერ 20 საათსა და 14 წუთზე, მე კი ის ჩამბარეს მხოლოდ მეორე დღეს — 13 იანვარს 10 საათსა და 24 წუთზე. მახარადნელი მატარებელი ჩამოდის თბილისში დილით 6 საათსა და 50 წუთზე, ასე რომ ნათესავს ვერ დავხვდი და საჭირო საქმე დამიბრკოლდა.

როცა პროტესტის ნიშნად მივმართე 49-ე საფოსტო განყოფილებას, მიპასუხეს, დეპეშის ჩაბარების ვადა არ დაგვირღვევიაო.

მაინტერესებს, ნუთუ მართალი არიან ფოსტის მუშაკები და სასწრაფო დეპეშის ასეთი დაგვიანებით ჩაბარება ნორმალურია, ისიც დედაქალაქში?

კავშირგაბმულობის 49-ე განყოფილების მუშაობაში ეს იშვიათი შემთხვევა როდია.

Ზ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისის მცხოვრები, საბურთალოს ქ. № 61.

• • •

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ᲣᲦᲣᲛᲔᲚᲝᲓ ᲛᲗᲐ „ᲪᲘᲕᲖᲔ“

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ შრომა, ენერგია, დრო, რამდენი ხარჯი გასწიეს თელავის რაიონის მშრომელებმა, როცა ამ ექვსი წლის წინ გაჭრეს ურთულესი გზა მთა „ცივზეკენ“ და ცივგომბორის მთაგრეხილის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მწვერვალზე აღმართეს სარეტრანსლაციო სადგური.

„როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო“ — ამ ქართული ანდაზისა არ იყოს, მთა „ცივზე“ მომუშავე ადამიანების ბედი სრულებით არ აწუხებს გურჯაანის მეცხრე სახაზო-საექსპლოატაციო კვანძის ხელმძღვანელებს და მის უფროსს ვ. კვიტაშვილს. სრულიად მოუფავრებელია სარეტრანსლაციო სადგურის მუშაკთა სამუშაო და საბინაო პირობები. ბუნებრივი პირობები აქ აუცილებელს ხდის შენობისათვის ორმაგი ფანჯრების გაკეთებას, სადგურის შენობის ფანჯრებს კი დარაბებიც არა აქვს. ჭერში წვიმა-თოვლი ჩამოდის და ტექნიკოსები იძულებული არიან სადგურის ურთულეს ამპარატურის თავზე ტაშტები და ვედროები გაამწკრივონ, რომ დასველებას და დაზიანებას გადაარჩინონ. თუნუქის ღუმელი, რომელიც საძინებელ ოთახშია მოთავსებული, ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ ტემპერატურას, მით უმეტეს — საამპარატო ოთახში. აქ კი, დებულების თანახმად, ნორმალური გადაცემების უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა 25 გრადუსამდე ტემპერატურის დაცვა. ადვილი გასაგებია, რა ტემპერატურა იქნება ულუმელო ოთახში მთა „ცივზე“. მდგომარეობის გამოსასწორებლად თვითონვე „უზრუნიათ“ ტექნიკოსებს და შეუძენიათ თვითნაკეთი ელექტროღუმელი, რომლის ჩართვა მოძველებულ ელექტროგაყვანილობაში ტექნიკური უსაშიშრობის ყოველი ნორმის დარღვევაა. სადგურის არსებობის განმავლობაში აქ ერთხელაც არ გაუკეთებიათ რემონტი.

ეს უცნობი ამბავი როდია გურჯაანის მეცხრე სახაზო-საექსპლოატაციო კვანძის უფროს ვ. კვიტაშვილისა ან თელავის რაიონის № 4 სახაზო-საექსპლოატაციო უბნის უფროსის მ. აბრამოვისათვის. მათ კარგად იციან, რომ ექვს წელიწადში ერთხელაც არ ჩატარებულა ანტენის პროფილაქტიკა, მაშინ როცა ექვს თვეში ერთხელ აუცილებელია „მ სამუშაოს შესრულება. იციან ისიც, რომ მესამე თვეა მწყობრიდან გამოსულია სარეზერვო გადამცემი სადგურის „ტვს“ ტიპის ტრანსფორმატორი, იციან, რომ ორ ტექნიკოს და ერთ ყარაულს ძლიერ უჭირთ ასეთ პირობებში მუშაობა და აუცილებელია სულ ცოტა ორი საშტატო ერთეულის დამატება.

ტელეგადაცემების ხარისხი კი დღითიდღე უარესდება, და შეწუხებული არიან როგორც ტექნიკოსები შ. ჭიკაძე და ს. ბელეცკი, ისე თელავისა და მეზობელი რაიონების ტელემაყურებლები.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ამ „წვრილმანებით“ დაინტერესდება და სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს.

დ. ᲭᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ინჟინერი, პენსიონერი; **მ. ᲙᲐᲫᲔᲚᲐᲫᲔ** — „საქმთავარენერგოს“ ენერგოგასაღების გურჯაანის განყოფილების უფროსი ინჟინერი; **კ. ᲧᲐᲠᲐᲨᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — თბილისის ტელერადიომაუწყებლობის ქსელის თელავის მე-17 ფილიალის უფროსი; **მ. ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — გაზეთ „ალაზნის განთიადის“ პასუხისმგებელი მდივანი.

ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲒᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა განიხილა საკითხი მრეწველობაში და სამშენებლო ობიექტებზე ლითონისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვისა და ამ საქმეში სახალხო კონტროლიორების მონაწილეობის შესახებ.

მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური კომბინატის კონტროლიორებმა ლითონებისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვა თავიანთ საბრძოლო ამოცანად გამოაცხადეს. ასე, მაგალითად, ამჟამად მეტალურგიულ ქარხანაში მიდინარეობს თბოელექტროცენტრალის სეპარაციული დანადგარის რეკონსტრუქცია. სახალხო კონტროლიორებმა ამ საქმეს დროულად დამთავრებაზე თავიანთი კონტროლი დაუწესეს და მიაღწიეს იმას, რომ აქ ეკონომიურად იხარჯება ყოველგვარი მასალა.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (ჩვენი კორ.). რაიონის ცენტრში შეიქმნა სახალხო კონტროლიორთა სკოლა. შემუშავებულია სკოლის სასწავლო გეგმა. სკოლის პროგრამაში გათვალისწინებულია ლექციები და მოხსენებები სახალხო კონტროლის ისტორიასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეკონომიური სწავლების, გამოცდილების ურთიერთ გაზიარების საკითხებს.

მეცადინეობა თვეში ერთხელ გაიმართება.

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲘᲡᲯᲔᲚᲒᲡ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სახალხო კონტროლის ზოგ საწარმოს და კოლმეურნეობას არა აქვს ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმები, ვერ იცავს ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს.

აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატში ყოველი 1000 ცალი აგურის გამოშვებაზე ნაცვლად 50 კილოვატ-საათისა დაიხარჯა 55,4 კილოვატსაათი ელექტროენერგია. აქვე უყურადოდ იყენებდნენ საწვავს, სითბურ ენერგიას.

აჯამეთის კომბინატში, მექანიკურ ქარხანაში, გოდოგნისა და ჭიკნარის კოლმეურნეობებში არა აქვთ ელექტროამრიცხველები. მომჭირნეობის საკითხებზე მოისუსტებს საგაზეთო-ცალკეული პროპაგანდა, აღმზრდელობითი მუშაობა

სწორედ ამ საკითხებზე ახლახან იმსჯელა თერჯოლის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი.

ᲣᲛᲘᲬᲜᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ

ᲡᲐᲕᲐᲜᲐᲮᲔ პლანტაჟის მოზადება, ახალი მიწების ათვისება, ხვნა, თესვა — რა სამუშაოებს არ ასრულებენ „საქსოფფლტექნიკის“ თელავის განყოფილების მექანიზატორები. შარშან რბილ ხვნაზე გადაყვანილი მათ 33.883 ჰექტარი სამუშაო შეასრულეს. გეგმა კი გაცილებით ნაკლები იყო. ამასთან თვითეული პირობითი ჰექტარის დამუშავებაზე გეგმით გათვალისწინებული ათი კილოგრამის ნაცვლად 8,6 კილოგრამი საწვავი დახარჯეს. სულ წელიწადში მექანიზატორებმა თორმეტი ათასი კილოგრამი საწვავის ეკონომია გასწიეს.

გასულ წელს დიდძალი საწვავი დაზოგეს სანაირის, ყარაჯალისა და ჯუღაანის კოლმეურნეობებმა, კისისხევისა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობებმა.

კარგი იყო, რომ ყველგან ასე გადრთხილებდნენ საწვავს და ამით დიდი სახსრები დაეზოგათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ვარდისუბნის კოლმეურნეობას 12 ტრაქტორი აქვს. მექანიზატორებმა აქ ცუდად რომ იმუშავეს, ამას სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავალიც ადასტურებს. ამას ისიც დაემატა, რომ სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ბახბახაშვილი) პირობითი ჰექტარის დამუშავებაზე 5 კილოგრამზე მეტი საწვავი გადახარჯა, სულ კი ოცი ათას კილოგრამზე მეტი, რატომ? იმიტომ, რომ ტრაქტორებს ხშირად არადანიშნულებისამებრ იყენებენ. გარდა ამისა, საწვავი რომ ჩაასხან, ხუთას-ექვსას მეტრ მანძილზე მიაყავთ ტრაქტორები. ზოგჯერ სათავსების უწესცოლობის მიზეზითაც დიდძალი საწვავი იღვრება.

მსგავსი მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებშიც. არათანის კოლმეურნეობამ ცხრამეტი ათასი კილოგრამი საწვავი გადახარჯა, ვანთის კოლმეურნეობამ — თვრამეტი ათასი, ბუშეტის კოლმეურნეობამ — ათი ათასი კილოგრამი და სხვ.

დასკვნა ერთია. იქ, სადაც კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები სათანადო კონტროლს არ აწესებენ საწვავის ხარჯვაზე, დიდი სახსრები ნიავდება.

ისინი, ვინც საწვავს ანიავებს და ამით მეურნეობებს ზარალს აყენებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

გ. ᲥᲝᲗᲘᲚᲐᲘᲫᲔ.

„საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების ინჟინერი.

მ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ,

თელავის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ დასახლება სოფელ მარტოთუბანს ეკუთვნის და ზესტაფონს სამი კილომეტრით არის დაშორებული. ჩვენს გარშემო მდებარე ყველა სოფელში და მარტოთუბანშიც ელექტროგანათებაა. მამაპაპური განათების ამარა მხოლოდ 32 კომლი ვართ დარჩენილი.

ამის მიზეზად ჯერ ტრანსფორმატორის უქონლობას ასახელებდნენ. ტრანსფორმატორი ჩვენი შეგროვილი ფულით შეგვიძინეთ, მაგრამ მაინც არ გვეშველა. ვის არ მივმართეთ დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ.

კ. ᲥᲐᲛᲣᲨᲐᲫᲔ,
Ი. ᲥᲐᲛᲣᲨᲐᲫᲔ,
სოფელ მარტოთუბნის მცხოვრებნი.

ზესტაფონის რაიონი.

ᲤᲝᲢᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ...

ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲓ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ქალაქში, საავტომობილო ქარხნის მახლობლად, ორი სასპორტო ბაზაა. ერთი — ფეხბურთელებისა — კეთილმოწყობილია, მეორე — საცხენოსნო სპორტისა — მეტისმეტად კეთილმოუწყობელი. მას სასპორტო ბაზა ჰქვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ სახელწოდებას ოდნავაც ვერ ამართლებს. ლაპარაკია ქუთაისის სპორტკავშირის საცხენოსნო სასპორტო ბაზაზე, რომლის ყოფილი სპორტსმენების დავალებით იწერება ეს სტრიქონები.

ისინი გულისტკივილით იგონებენ იმ დროს, როცა აღნიშნულ ბაზაში ნამდვილი სპორტული ცხოვრება ჩქეფდა. ბაზის თავლაში ჯანღონით სავსე, სილამაზით გამორჩეული ოცდაოთხი სპორტული ცხენი ება. ისინი ყურებდაცქვეტილნი ელოდნენ მხეღრების გამოჩენას, რომ გარეთ გაენავარდათ, ქარისთვის გაესწროთ და დაბრკოლებებს მკვირცხლად გადაელებოდნენ თავზე.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმ ცხენებიდან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა, უმრავლესობა კი უყურადღებობის მსხვერპლი გახდა. დარჩენილი ცხენები სპორტკავშირის ხელმძღვანელობამ ხელიდან გამოგვაცალა იმ მოტივით, თითქოს საჭირო იყო „ძველი“ ცხენების ჩამოწერა. შექმნილმა კომისიამ იმდენი ქნა, რომ ჯერ კიდევ ვარგისი სპორტული ცხენები ჩამოწერა, ახალი ცხენების შეძენის მოლოდინში კი წლები გადის.

ზემდგომმა ორგანოებმა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაავალეს იზრუნოს საცხენოსნო სპორტის განვითარებაზე. მაგრამ ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა. ამბობენ, საცხენოსნო სპორტის განვითარებას, ბაზის კეთილმოწყობას სათანადო სახსრები სჭირდებაო. ეს მართალია, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს ამ სახსრების გამოუოფაზე?

ბოლოსდაბოლოს, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? საჭიროა ქუთაისში იყოს საცხენოსნო სასპორტო ბაზა, იპოდრომი, მით უმეტეს, რომ იგი ქუთაისს ადრევე ჰქონდა.

Ა. ᲥᲔᲓᲣᲚᲐᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნიდან): ასე გამოიყურება ქუთაისის საცხენოსნო ბაზის მაყურებელთა ტრიბუნები; ამ სახურავით, რომელიც ახლა ძირს გდია, გადახურული იყო ქუთაისის საცხენოსნო სასპორტო ბაზის იპოდრომის მსაჯთა ტრიბუნა; საცხენოსნო სასპორტო ბაზის თავლის ხედი.







ᲗᲕᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ...

ᲐᲘᲒᲔᲑᲐ ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ გამოგზავნილ წერილში ქუთაისის მცხოვრებლები ი. ტყაბლაძე, თ. აბრამიშვილი, ე. ბარათაშვილი და სხვები აყენებდნენ საკითხს ბავშვთა ბაგის ცალკე შენობის აგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი **გ. ᲐᲑᲓᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გვაუწყებინებს:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გათვალისწინებული აქვს 1966 წელს ქალაქ ჭიათურაში ააგოს გაერთიანებული დაწესებულების — ბაგა-ბაღის შენობა. ეს მნიშვნელოვნად დააკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲙᲝᲡ ᲛᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲘ

ბინაა თუ თეატრია,
სახლია თუ ედემი.
სადღა ალარ გიყვანია
სიკომის ხაზ

საერთაშორისო ცხოვრება

იტალიის კომუნისტთა ყრილობაზე

რომი, 25 იანვარი. (საკ.დესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, „აქ გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობა.

ერთხმად აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი. მის შემადგენლობაში შედიან იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ლუიჯი ლონგო, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები, საოლქო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირული, ქალთა და ახალგაზრდების ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ. ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები. დარბაზში 200-მდე იტალიელი და უცხოელი ჟურნალისტია — დეპეშათა სააგენტოების, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები.

დარბაზში გაისმა მჭუხარე ტაში, როცა ტრიბუნაზე ავიდა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ლუიჯი ლონგო. მან გააკეთა მოხსენება ყრილობის დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „მშვიდობისათვის, სოციალიზმისაკენ იტალიური გზით წინსვლისათვის, ახალი დემოკრატიული უმრავლესობისათვის, მუშათა და სოციალისტურ ძალთა ერთობისათვის“.

დეკლარაციის შესაგამისად

დელი. (საკ.დესი). ოფიციალურ ცნობაში, რომელიც დღეს საღამოს გავრცელა ინდოეთის საინფორმაციო ბიურომ, ნათქვამია, რომ ინდოეთის არმიის შტაბის უფროსს გენერალ ჩოუდჰურისა და პაკისტანის არმიის სარდლის გენერალ მესსას შორის მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ორივე მხარე უკან დაიბრუნებს ჯარებს ხუთი დღის ვადაში, მოიხდენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავდაცვით ნაგებობათა დემონტაჟს მომდევნო 21 დღეში და მთლიანად დაიბრუნებს ჯარებს 25 თებერვლისათვის, როგორც კი გათვალისწინებულია ტაშკენტის დეკლარაციით.

დაბლობ რაიონებში მხარეებმა, როგორც წესი, ჯარებს უკან უნდა დაახვევინონ 1000 იარდით (დაახლოებით 1 კილომეტრით) იმ პოზიციებს ზაზიაზე, რომლებიც ფაქტიურად უკავიათ.

ლ. ბ. შასტრის დაკრძალვა

დელი. 24 იანვარი. (საკ.დესი). ათასობით დელიელი ჩამწკრივებულიყო დღეს ლ. ბ. შასტრის რეზიდენციიდან ვოგზლამდე, რათა უკანასკნელად ეცა პატივი განსვენებული პრემიერ-მინისტრის ხსოვნისათვის.

ტრადიციისამებრ ნეშტის მეტ ნაწილს მიაბარებენ ინდოეთის წმინდა მდინარეებს ჯამნის და განგის შესართავის ადგილას. დანარჩენი ნაწილი სპეციალური ურნებით დასაკრძალავად გაიგზავნება ინდოეთის სხვადასხვა შტატში.

დელი, 25 იანვარი. (საკ.დესი). დღეს ალაჰაბადში ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის ურნა მიაბარეს სანგამის წყალს, იქ სადაც ერთმანეთს ერთვიან ინდოეთის წმინდა მდინარეები განგა და ჯამნა.

დაკრძალვის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, ინდოეთის მთავრობის წევრები, განსვენებულის ნათესავები და ახლობლები.

ინდოეთის რესპუბლიკა 16 წლისაა

ბორცვზე აგებულ პრეზიდენტის „რაშტრაპატი ბჰავანის“ სასახლესთან იწყება დელის ფართო მოასფალტებული ცენტრალური მაგისტრალი — რაჯ პატჰი. მაგისტრალის ორივე მხარეს ფართო გაზონები და ხეივნებია. მარცხნივ ინდოეთის პარლამენტის უზარმაზარი, სვეტებიანი, მრგვალი შენობაა. ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია სხვადასხვა სამინისტროს შენობები. ისარივით სწორ მაგისტრალზე დადგმულია ტრიბუნები.

26 იანვარს აქ მეთვქსმეტეჯერ შეიკრიბებიან ასეული ათასობით დელიელი და ახლომდებარე ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი, რათა აღნიშნონ დიდი ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის დღე და ნახონ დიდებული პარადი და სადღესასწაულო დემონსტრაცია.

ინდოელ ხალხს უკვე ბევრი რამ აქვს საამაყო. სამი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა საუკუნოვანი ჩამორჩენისა და კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის განსაგითარებლად.

ყოველთვის, როცა ინდოეთში ვმოგზაურობ, ვხედავ, როგორ თანდათანობით იცვლება იგი. უფრო ხშირად მხვდება ახალი ინდოეთის ინდუსტრიული პეიზაჟები. შენდება ახალი მტკაცურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნები, მათ გარშემო იქმნება კეთილმოწყობილი ქალაქები. ღამით შავი ცის ფონზე კაშკაშებს ახალ ელექტროსადგურთა შენობები. უზარმაზარ სანთლებს ჰგავს ნავთობსაბურღი კოშკები. შენდება ახალი კაჩხალები, სარწყავი არხები. უფრო ხშირად გვხვდება ტრაქტორები მინდვრებში, ჩანს ელექტროშუქი სოფლის სახლების ფანჯრებში.

რესპუბლიკის არსებობის წლების მანძილზე სახელმწიფო სექტორში აშენდა მთელი რიგი დიდი სამრეწველო საწარმოები. საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიულ მრეწველობას, იქმნება მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნები, ვითარდება ნავთობის, ქვანახშირის მრეწველობა.

1964 წელს თუჯის წარმოებამ ინდოეთში შეადგინა 6,5 მილიონი ტონა, ფოლადისამ— 5,9 მილიონი ტონა, ნაგლინისამ — 4,3 მილიონი ტონა, ამოღებულია 64 მილიონი ტონა ქვანახშირი, 2,2 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტების წარმოებამ 8,4 მილიონ ტონას მიაღწია. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1964-65 საფინანსო წლის დამლევისათვის 9,3 მილიონი კილოვატი შეადგინა, ელექტროენერგიის წარმოებამ კი ამავე წელს — 28,4 მილიარდი კილოვატსაათი. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი წარმოებულია დამოუკიდებლობის წლების მანძილზე აშენებულ საწარმოებში.

ახალი ქარხნები ახლა უკვე უშვებენ მეტალურგიულ და სამთო-საშახტო მოწყობილობას, მძიმე ელექტრომოწყობილობას, სატრანსპორტო მოწყობილობას, ავტომობილებს, ჩარხებს, გემებს, თვითმფრინავებს, რადიოელექტრონულ აპარატურას. შარშან ამუშავდა ახალი ბრძმედი, საკოქსე ბატარეა და მარტენის ღუმელი ბჰილაის მეტალურგიულ ქარხანაში, საელექტროგაცაციოდ გადაეცა ბარაუნის სახელმწიფო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი, დენი გამოუშვეს ელექტროსადგურების ახალმა გენერატორებმა, მწყობრში ჩადგა მადრასის ქირურგიულ ინსტრუმენტთა ქარხანა.

წელს საბჭოთა კავშირის დახმარებით იწყება ახალი დიდი სახელმწიფო მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ბოკაროში. ამ დღეებში დამთავრდება ამუშავება-გამართვის სამუშაოები ბჰაკრის მდინარე სეტლეჯის მარჯუენა ნაპირის ჰიდროელექტროსადგურის პირველ ჰიდროაგრეგატში.

წარმატებით ვითარდება მეცნიერება. ტრომბეის (მაპარაშტრა) ატომურ ცენტრში უკვე მუშაობს სამი რეაქტორი და ინდოელი მეცნიერები სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში. 200-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი იყენებს ტრომბეიში მიღებულ 250-მდე სახეობის იზოტოპებს. ტუმბეს (კერალა) სამეცნიერო-საკვლევი სადგურიდან წარმოებს რაკეტების გაშვება ატმოსფეროს ზედაფენების გამოსაკვლევად.

სულ უფრო ფართოვდება სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა. იანვრის დამდეგს ხელმოწერილია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ახალი სავაჭრო შეთანხმება, რომლის შესაბამისად გაორკეცდება ვაჭრობის მოცულობა მომავალ ხუთ წელიწადში. ინდოეთში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და მიღწევებისადმი. ამას მოწმობს რუსული კულტურის კვლევის ინსტიტუტი, რომელიც გასული წლის დასლევს შეექმნა დელიში.

ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დიდაღი სახსრები მოაკლდა მშვიდობიანი განვითარების ამოცანებს. ძმათაშორისი კონფლიქტის გაგრძელება მხოლოდ დასუსტებდა ორივე მხარეს და ხელსაყრელი იქნებოდა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია გაალვივოს შუღლი ხალხთა შორის. სწორედ ამიტომ ინდოეთში უდიდესი შვებითა და კმაყოფილებით შეხვდნენ ტაშკენტის შეხვედრის წარმატებით დამთავრებას, რომელიც საბჭოთა კავშირის კეთილი დახმარებით მოეწყო. სწორედ ამიტომ საბჭოთა ადამიანებს ახლა ინდოეთში ყველგან ესმით გულთბილი მადლობის სიტყვები საბჭოთა მთავრობის მიმართ. სწორედ ამიტომ, კერძოდ, ასე გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ინდოეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, რომელიც ჩამოვიდა აქ ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ლ. ბ. შასტრის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად.

ტაშკენტის ისტორიული დეკლარაცია გზას უკვალავს მშვიდობას, ხელს უწყობს შემდგომ განვითარებას მშვიდობიან პირობებში.

... ყოველთვის, როცა ინდოეთში ვმოგზაურობ, მინდა დავათვალიერო ახალი საწარმოები, მშენებლობანი — ეს გვეხმარება უკეთ გავიცნოთ ახალი ინდოეთი. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დიდი ნაგებობანი ყოველთვის ეპოქის სიმბოლო იყო. მაგონდება ჯ. ნერუს სიტყვები: „სამშენებლო მოედნებს, სადაც ათასობით ადამიანი გიგანტურ ნაგებობებს აშენებს მილიონობით თანამოქალაქის საკეთილდღეოდ, მე გუნდებ ტაძრებსა და საოლაგ ადგილებს. ეს წმიდათა წმიდა ადგილებია, სადაც ადამიანები სისხლსა და ოფლს ღვრიან, სადაც იტანჯებიან, მაგრამ ყველაფერს იტანენ ბროგრესისა და უკეთესი ცხოვრების საკეთილდღეოდ. ეს არის ახალი დროის ტაძრები, ეკლესიები და მეჩეთები“.

... ჰიმალაის ძირში, განგესის ნაპირზე შენდება აზიაში უდიდესი ანტიბიოტიკების სახელმწიფო ქარხანა. იგი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს რესპუბლიკის საჭიროებებს წამლებით და ხელს შეუწყობს მილიონობით ინდოელის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

წმიდათა წმიდა განგესი! ინდოელი ერის ამ სათაყვანოს ქერბას ასხამს უამრავი ჰიმნი, სიმღერა და ბალადა. მის ნაპირებზე, სადაც აგებულია ასობით ტაძარი, დღემდე მოდის მილიონობით მლოცველი, რათა განიბანონ მის წმიდა წყლებში. სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებული ათასობით ადამიანი მოდის აქ ინდოეთის ყველა კუთხიდან განკურნების იმედით... გაივლის კიდევ ცოტა დრო, და განგესის ნაპირებზე აშენდება ახალი ტაძარი — ჯანმრთელობის ტაძარი. ეს ტაძარი გამოუშვებს სამკურნალო წამლებს, რომლებიც მართლაც ხელს შეუწყობს ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებასა და განკურნებას ავადმყოფობისა და სნეულებისაგან. ბომბეის მახლობლად, წარმტაცი ტბის ნაპირზე სულ რამდენიმე წლის წინათ ჯუნგლი იყო, სადაც მშვიდად დასეირნობდნენ პანტერები და ვეფხვები. ახლა კი აქ ბომბეის ტექნოლოგიური ინსტიტუტია — ინჟინერულ-ტექნიკური აზროვნების უდიდესი ცენტრი. ეს ახალი ინდოეთის კიდევ ერთი კუთხეა.

ინდოეთში მოგზაურობისას დიდი ინტერესით ეცნობი უძველეს ინდოელ ოსტატთა შესანიშნავ ქმნილებებს, ნიჭიერი ინდოელი ხალხის უძველესი კულტურის დიდებულ ძეგლებს. ეს არის მაჰაბალიპურამის უძველესი ტაძარი მადრასის მახლობლად, მზის ღმერთის ტაძარი ან შავი პაგოდა კონარეკში, ბჰუბანეშვარის მახლობლად, და, რა თქმა უნდა, ცნობილი ტაჯ მაჰალი. მაგრამ უფრო გიზიდავს ახალი ინდოეთის ტაძრები. ალტაცებას იწვევს მაუნტ აბუს ჯაინისტთა ტაძრების თეთრი მარმარილოს უნაგრფესი ჩუქურთმა და უნებურად გაგონდება ტექნოლოგიის შესანიშნავი ტაძარი ბომბეის მახლობლად, სადაც ამზადებენ ხუროთმოძღვრებს ახალი ეპოქის კიდევ უფრო დიდებული ტაძრების შესაქმნელად ინდოელი ხალხის საკეთილდღეოდ. ახალი ინდოეთის სულ უფრო მეტ ასეთ შუქურას შეხვდებით დღეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

დიდი ინდოელი ხალხი რესპუბლიკის მე-16 წლისთავს ეგებება უკეთესი მომავლის იმედით და სწამს, რომ წარმატებით დაძლევს სიძნელეებს, რომლებსაც რესპუბლიკა განიცდის.

ვ. ნიკიტინი.

საკ.დესის კორესპონდენტი დელიში



სურათზე: დელი. პარლამენტის შენობა.

დიდმნიშვნელოვანი ყრილობა

ჰელსინკი. (საკ.დესი). დღეს აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ფინეთის კომუნისტური პარტიის მომავალ XIV ყრილობას. ყრილობა გაიმართება ჰელსინკში 29 იანვრიდან 1 თებერვლამდე. პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი. მან ილაპარაკა ყრილობის მუშაობაზე, იმ მთავარ საკითხებზე, რომლებიც დღის წესრიგშია დასმული, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ყრილობისათვის ადგილებზე — ძირეულ და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

მიგვაჩნია, განაცხადა ვ. პესიმ, რომ ყრილობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი პარტიის მომავალი განვითარებისათვის. დოკუმენტები, რომლებსაც ყრილობა მიიღებს, დაადასტურებენ, რომ უნარი შეგვწევს დავსახოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა ახლანდელი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, ვ. პესი შეეხო ფინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობას საზღვარგარეთის მოძმე პარტიებთან. მან თქვა, რომ ეს ურთიერთობა კარგია, გარდა ალბანეთის შრომის პარტიასთან ურთიერთობისა, რომელთანაც ფინეთის კომუნისტურ პარტიას კონტაქტები არა აქვს. უკანასკნელ ხანს, აღნიშნა მან, შეესუსტდა კონტაქტები ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთანაც. ჩვენი პოზიციები პრინციპულ საკითხებში განსხვავდება ჩინეთის კომპარტიის პოზიციებისაგან. ეს შეეხება ომისა და მშვიდობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და სხვა საკითხებს. ჩინეთის კომპარტიის „პოლიტიკური კურსი პოპულარული არ არის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, თქვა ვ. პესიმ.

ჩრდილოეთი ვიეტნამი შვედი ჟურნალისტის თვალით

სტოკჰოლმი. (საკ.დესი). დღეს გაზეთ „სტოკჰოლმსტიდენინგენში“ ცნობილი შვედი პუბლიცისტი ვიქტორ ვინდე, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა ჩრდილოეთ ვიეტნამიდან აღწერს ვიეტნამელი ხალხის გმირულ დღეებს.

ჰანოი, წერს ვინდე, არის იმ ქვეყნის დედაქალაქი, რომელიც ომობს. ომმა თავისი დალი დაასვა მთელ ქალაქს. უდიდესი ქუჩების გასწვრივ ყველგან ბომბსაფარებია აშენებული. ბევრი მუშა საწარმოებში მხარზე შაშხანაგადაკიდებული მიდის.

მაგრამ შრომითი ცხოვრება კვლავ ჩქეფს. ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ვინდე, თუმცა ბევრი საწარმო ნაწილობრივ სოფლის რაიონებში მუშაობს. თეატრები და კინოდარბაზები მუდამ სავსეა, კაფეების ტერასებზე თავს იყრის ახალგაზრდობა.

ჰანოიდან ვ. ვინდე მთებში გაემგზავრა ქალაქ თხან-ჰოაში, რომელსაც ამერიკელები ხშირად ბომბავენ. მასობრივმა თავდასხმებმა, წერს ვ. ვინდე, თითქმის მოლიანად უცვალეს სახე ქალაქს. ყველა ქალი და კაცი, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, შევიდა სამოქალაქო თავდაცვაში.

დასახლებულ პუნქტებში შენდება ბომბსაფარები, მინდვრებში დამცავი ხვრელები. რკინიგზის „ხიდების მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებნი მუდამ მზად არიან დაბომბვის შედეგების აღმოფხვრისათვის.

ვინდე აღნიშნავს, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა დაანგრიეს ბევრი სამოქალაქო დაწესებულება, რომლებსაც არავითარი სამხედრო დანიშნულება არა ჰქონია. ინგრევა სკოლები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და ღრმად მოხუცებულთა სახლები. მაგალითად, სანატორიუმი 500 ტუბერკულოზიანი ავადმყოფისათვის თითქმის ნანგრევებად იქცა 18 ამერიკელი ბომბდამშენის თავდასხმის შედეგად, სანატორიუმიდან ათ კილომეტრზე ახლოვინ ბედი ეწია ღრმად მოხუცებულთა სახლსაც. შვიდასი მოხუცი ნანგრევებში მოჰყვა. თავდასხმა დღისით მოხდა.

ამ ადგილების დათვალიერება საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს, წერს ვ. ვინდე.

მილიტარისტული ბიუჯეტი

ვაშინგტონი. საკ.დესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვატყობინებს:

პრეზიდენტმა ჯონსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1966-1967 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი.

თავისი ხასიათით ეს სამხედრო ბიუჯეტია. ვიეტნამის ომი მთავარი ფაქტორი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების რესურსთა განაწილებისა და მათი ეკონომიური განვითარების მიმართულების გასახაზგრის დროს. აგრესიულ კოლონიურ ომს მსხვერპლად შეწირა ამერიკელი ხალხის საარსებო ინტერესები.

— 1966-1967 წლის ბიუჯეტს, — ნათქვამია პრეზიდენტის წერილში ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მან კონგრესს გადასცა, — დაეტყო იმ მფოთიანი სამყაროს ძლიერი ღაღი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ბიუჯეტი უზრუნველყოფს ფონდებს, რომლებიც, როგორც აქედანვე ვიცით, საჭირო გახდება, რათა შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი საძმურთ-ალმოსავლეთ აზიაში“.

შეიარაღებულმა ინტერვენციამ ვიეტნამში ძლიერი ბიძგი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც დიდი სამხედრო ხარჯების ახალ გადიდებას. ახალ ბიუჯეტში პენტაგონის სამხედრო მიზნებისათვის გამოყოფილია 60,5 მილიარდი დოლარი, ანუ მთავრობის მთელ ასიგნებათა 53,6 პროცენტი. მიმდინარე საფინანსო წელს სპეციალური ხარჯები ვიეტნამის ომისათვის წინასწარი გაანგარიშებით შეადგენენ 4,6 მილიარდ დოლარს, ხოლო ახალ 1966-1967 საფინანსო წელს — ეს ხარჯები მიაღწევენ 10,3 მილიარდ დოლარს.

სამხედრო ხარჯების ზრდასთან ერთად მკვეთრად გაიზრდება ფედერალური მთავრობის საერთო ხარჯები. ახალ საფინანსო წელს ისინი მიაღწევენ რეკორდულ დონეს — 112,8 მილიარდ დოლარს, რაც 6,4 მილიარდი დოლარით აღემატება მიმდინარე საფინანსო წლის ხარჯებს.

ბიუჯეტის შემოსავალი უნდა იყოს 111 მილიარდი დოლარი. იმის შედეგად, რომ გასავალი 1,8 მილიარდი დოლარით აღემატება შემოსავალს, შემდგომ გაიზრდება სახელმწიფო ვალი, რომელიც მიაღწევს 321,7 მილიარდ დოლარს.

სამხედრო ხარჯების ტვირთი ამერიკელ ხალხს დაეკვება. ბიუჯეტის მთელ ფულად შემოსულობათა 50 პროცენტს იღებენ ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი, 18 პროცენტს — მოსახლეობის არაპირდაპირი გადასახადი, 2 პროცენტს — სესხი. კორპორაციების გადასახადი კი ბიუჯეტის მთელი შემოსულობის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს.

„არავის არ შეუძლია დარწმუნებით იწინასწარმეტყველოს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“, — ნათქვამია ჯონსონის წერილში, — „ამიტომ შესაძლოა, რომ საბიუჯეტო მოთხოვნილებანი ან მეტი იქნება ან ნაკლები იმასთან შედარებით, რასაც ახლა მოვითხოვ“.

მორიგი საფინანსო წლის ბიუჯეტის წინასწარი მონახაზით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფინანსური ანგარიშისა და გეგმების დასახვის დროს ხელმძღვანელობს სამხედრო კონფლიქტის გაფართოებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები გადაყავს სამხედრო რელსებზე.

ხელშეკრულება რატიფიცირებულია

ულან-ბატორი. (საკ.დესი). ჟ. სამბუს თავმჯდომარეობით გაიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი, რომელსაც ხელი მოაწერეს აქ სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სხდომაზე მოხსენება ხელშეკრულების შესახებ გააკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. დუგერსურენმა. ამ ისტორიული ხელშეკრულებით, რომელიც 20 წლის ვადით დაიდო, თქვა მან, ახალი ფურცელი გაიწყო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნამდვილად ძმური ურთიერთობის განვითარების მატიანეში. იგი გაამდიდრებს ამ ურთიერთობის კარგ ტრადიციებს, რომლებიც ორივე ქვეყნის ხალხთა დიდი მონაპოვარია. ახალი ხელშეკრულების საფუძველზე, თქვა შემდეგ მინისტრმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის განვითარდება ყველაზე ჯერო, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით მშენებლობისათვის.

სხდომაზე გამოვიდნენ დიდი სახალხო ხურალის საგარეო საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბ. ლხამსურენი და დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის წევრი დ. იადამსურენი. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

ლაოსი

ვიენტიანი. (საკ.დესი). ლაოსის ეროვნული ერთიანობისა და ერთიანობის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი ამბობს, ამერიკელ-ფარულ ფეოდალთა ბანდა ცდილობს ლაოსში ომის ალაფვა. ბანდა ცდილობს ომის ალაფვა, ამბობს ბიულეტენი, ეროვნული ერთიანობის ფრონტის ცენტრალური კომიტეტის

ლიტერატურული ხელოვნება

„ნატვრის ხე“ რუსულად

ამ დღეებში მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ „სოვეტსკი პისატელმა“ ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის მოთხრობების ცნობილი კრებული „ნატვრის ხე“ (მთარგმნელი ე. ანანიაშვილი).

ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით „ლიტერატურნაია გაზეტას 22 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის, ქართული კულტურის მეგობრის ნიკოლოზ ტიხონოვის წერილი—„ურმობის ნატვრის ხე“.

ნიკოლოზ ტიხონოვი წერს:

„მე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, რომ ლიტერატორი, შეიძლება, არა ერთნაირად, მაგრამ მაინც დაუფლებული უნდა იყოს ყველა ჟანრს.

და როცა ხელში ვიღებ გიორგი ლეონიძის პროზის წიგნს, მხოლოდ სიხარული მიპყრობს, რომ საქართველოს სახალხო პოეტი, თავისი სამშობლოს ისტორიული წარსულის შესანშნავი მცოდნე, მეცნიერი-მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი ასე გაბედულად და ეფექტურად ჰკიდებს ხელს პროზაიკოსის კალამს...

ამ წიგნით გიორგი ლეონიძემ გვიჩვენა, რომ იგი თავისი მრავალმხრივი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაშია, და ჩვენ სრული უფლება გვაქვს, შთაგონებულ ლექსებთან ერთად, მისგან ახალ შთაგონებულ პროზასაც მოველოდეთ“.

რუსი მეგობრის ამ ვრცელი წერილის ყოველ სტრიქონში (ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ადგილი მოვიყვანეთ) გამოსჭვივის ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნა და ჭეშმარიტად ძმური სიყვარული.

საფრანგეთში აღნიშნავენ რუსთაველის იუბილეს

თითქმის წელიწადნახევარი გავიდა, რაც ფრანგი მკითხველი თავის მშობლიურ ენაზე გაეცნო გენიალური ქართველი პოეტი-ჰუმანისტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სრულ პოეტურ თარგმანს. პოემა პარიზის ერთ-ერთმა დიდმა გამომცემლობამ „გალიმარმა“ გამოსცა. ტირაჟი, მართალია, დიდი არ იყო (5.000 ცალი), მაგრამ წიგნი ბაზარზე გამოსვლისთანავე გაიყიდა.

საფრანგეთის ლიტერატურულმა და მკითხველმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესით მიიღო ჩვენი კლასიკური მწერლობის თვალმარგალიტი. მალე ფრანგულ პრესაში გამოჩნდა რეცენზიები და წერილები. ვრცელი რეცენზია უძღვნა შოთა რუსთაველის პოემის ფრანგულ თარგმანს ყოველკვირეულმა ლიტერატურულმა გაზეთმა „ლე ლეტრ ფრანსეზმა“. მისი ავტორი, ცნობილი ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი **რენე ლაკოტი**, კერძოდ, წერდა:

„იმ წიგნთა შორის, რომლებიც გამოიცა 1964 წელს, ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, შოთა რუსთაველის დიდებული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანია... „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგ მკითხველთა წინაშე წარსდგება როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები“.

ცნობილია, ორივე ენის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად, რაოდენ დახვეწილ და ფაქიზ მხატვრულ ოსტატობას მოითხოვს პოეტური ნაწარმოების სრულყოფილი თარგმანის შექმნა. მით უფრო ძნელია მთარგმნელის ამოცანა, როცა საქმე გვაქვს, რენე ლაკოტის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უდიდეს ნაწარმოებთან“ — „ვეფხისტყაოსანთან“, რომლის მხატვრული სახეები, შედარებები და მეტაფორები წყობილსიტყვაობისა და პოეტური აზროვნების განუმეორებელი მწვერვალია.

ამიტომ გასაგებია, თუ რაოდენ რთული პრობლემის წინაშე იდგა რუსთაველის პოემის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი **სერგი წულაძე.** როგორც იგი თვითონ აღნიშნავს, ამ რთული ამოცანის დაძლევაში მას დიდი დახმარება გაუწია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ღრმაშინაარსიანმა მეცნიერულმა კონსულტაციებმა.

ინტერესსმოკლებული არ იქნება აქ გავიხსენოთ რუსი მწერლისა და ლიტერატორის ალ. დეიჩის სიტყვები „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული მისი სტატიიდან „ხალხური პოეზიის სამყაროში“.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ტექსტში გამოსქვივის თარგმნილის (ს. წულაძე—რედ.) მნიშვნელოვანი და უხვად ნიჭმომადლებული ინდივიდუალობა. ოთხი წლისა იყო, როცა იგი საქართველოდან წაიყვანეს საფრანგეთში, სადაც მრავალმხრივი განათლება მიიღო და თითქოს შეისისხლხორცა ორი ხალხის კულტურათა მრავალფეროვნება“.

ამკამად სერგი წულაძე ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ შესრულებული, სტილისტურად ნატიფი და მაღალმხატვრული თარგმანი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ფრანგ მკითხველს, აცნობს მას რუსთაველის მშვენიერ პოეტურ სამყაროს და უკვდავ ნაზრევს.

გვესაუბრება „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი სერგი წულაძე

◆

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ უმაღლესი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ სერგი წულაძისეულ თარგმანს, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, დოკუმენტურად დაადასტურა საფრანგეთის აკადემიამ ლანგლუას სახელობის პრემიის მიკუთვნებით. ეს პრემია კი საფრანგეთის აკადემიას იმისათვის დაუწესებია, რომ ყოველწლიურად აღნიშნოს უცხოური მწერლობის საუკეთესო ნაწარმოების სრულყოფილი ფრანგული თარგმანი.

გუშინ **„კომუნისტის“** რედაქციაში სტუმრად იყო **სერგი წულაძე,** რომელიც სულ რამდენიმე დღეა დაბრუნდა პარიზიდან. იგი იქ მიწვეული იყო, რათა დასწრებოდა საფრანგეთის აკადემიის სხდომას, რომელიც მიეძღვნა აკადემიის 1965 წლის პრემიების საჯაროდ გამოცხადებას.

— ეს იყო საფრანგეთის აკადემიის საზეიმო-საჯარო სხდომა, — გვიამბო სერგი წულაძემ, — რომელიც გაიმართა დიდ დარბაზში, გუმბათის ქვეშ,— ასე ამბობენ ფრანგები. აქ იყვნენ აკადემიის წევრები. საფრანგეთში ამჟამად პოპულარული მწერლები ანდრე მორუა, ანრი ტრუაია, ჟაკ დე ლაკრეტელი, ჟოზეფ კესელი, რენე კლერი და სხვები.

აკადემიის უცვლელმა მდივანმა მორის უენევუამ ილაპარაკა 1965 წლის პრემიებზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, თუ შეიძლება ითქვას, პირველხარისხოვანი მხოლოდ რამდენიმეა. მათ შორის არის თარგმანის პრემია ლანგლუას სახელობისა, რომელიც, როგორც იცით, მიიღო „ვეფხისტყაოსანმა“. მორის უენევუამ გულთბილად მომილოცა წარმატება და მიხურვა მომავალი ნაყოფიერი მუშაობა მთარგმნელობითს საქმიანობაში.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი მიღება-დარბაზობა, რომლის დროსაც საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით მადლობა მოვახსენე საფრანგეთის აკადემიის ხელმძღვანელობას მაღალი ჯილდოსათვის, აგრეთვე ვუამბე მათ იმ დიდ მზადებაზე, რაც ჩვენში მიმდინარეობს შოთა რუსთაველის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით.

საფრანგეთში ყოფნის დროს საშუალება მქონდა შევხვედროდი გამოჩენილ ფრანგ მწერლებს, პოეტებსა და ლიტერატორებს, კერძოდ ლუი არაგონს, ელზა ტრიოლეს, მაქს პოლ ფუშეს, ბონეფუას, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, იუნესკოს წარმომადგენლებს. ყველანი დიდად დაინტერესებული არიან, რომ საფრანგეთში ფართოდ აღინიშნოს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

ამის შესახებ პარიზის პრესაშიც დაიბეჭდა წერილები და ცნობები, „ფიგარო ლიტერერამა“, „ნუველ ლიტერერამა“ და „ლე ლეტრ ფრანსეზმა“ გამოაქვეყნეს აკადემიის საჯარო სხდომისა და მიღების ანგარიშები, სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ რუსთაველის მომავალ იუბილეს, გამოთქვამენ აზრს, რომ სასურველია ფრანგმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნოს ეს თარიღი. ასე რომ ფრანგი მკითხველი ამ მხრივ უკვე საკმაოდ ინფორმირებულია.

პარიზში მიმიღო სსრ კავშირის სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში ვ. ზორინმა, ხოლო მოსკოვში — საფრანგეთის ელჩმა ჩვენს ქვეყანაში ფ. ბოდემ.

წლევანდელი 1966 წელი რუსთაველის წელიწადია. ჩვენი ხალხი სიყვარულით ემზადება ფართოდ აღნიშნოს თავისი გენიალური პოეტის იუბილე. ამიტომ ყოველი ფაქტი და მოვლენა, რაც ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ უფრო ფართო პოპულარიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი გარკვეული წვლილი იქნება და საათანადოდ აღინუსხება ჩვენი კულტურის მდიდარ მატიანეში.

ლ. კიკნაძე.

თბილისის ბოტანიკური ბაღის თვალწარმტაც სილამაზეს ბევრი მნახველი და ტურისტი მოუხიბლავს. სურათზე: ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვინ რა მოიგო?

გუშინ, 25 იანვარს, თბილისში, გორკის სახელობის კულტურის სახლში დილიდანვე მრავალმა თბილისელმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1966 წლის **პირველი** გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

წელს გათამაშებაში ზოგიერთი ცვლილებაა. შარშანდელთან შედარებით გაზრდილია მოგებათა რაოდენობა, ახლა ყოველ ტირაჟში თამაშდება ორი ავტომანქანა „ვოლგა“, 8 „მოსკვიჩი“, პირველად თამაშდება დიდი ფულადი მოგება 1.000 მანეთი და სხვ.

ავტომანქანა **„ვოლგა“** ხვდა ლატარიის 01077 სერიის № 250 და 01656 სერიის № 133 ბილეთებს.

ავტომანქანა „მოსკვიჩის“ მფლობელები გახდებიან ის პირნი, ვისაც აქვთ 02411 სერიის № 169, 02155 სერიის № 393, 01839 სერიის № 068, 02858 სერიის № 010 ლატარიის ბილეთები. ხოლო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ ხვდა 00766 სერიის № 291, 02786 სერიის № 303 ბილეთებს.

ბედმა გაუღიმა 02533 სერიის, № 473 ბილეთის მფლობელს. მას ერგო **1000 მანეთი** მოგება. **500 მანეთს** მიიღებს 00010 სერიის № 487 ბილეთის პატრონი.

პიანინოს მოგებით გაიხარებენ 01400 სერიის № 276, 00806 სერიის № 153, 02723 სერიის № 354, 02943 სერიის № 270 ლატარიის ბილეთების მფლობელნი.

ქუთაისის ახალმშენებლობანი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფართოდ არის გაშლილი სამრეწველო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამენაო მშენებლობა.

მარტო № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის ხაზით ათობით ახალი ობიექტი შენდება. 1966 წლის პირველსავე დღეებში საფუძველი ჩაუყარეს ახალ სამრეწველო საწარმოებს — ხორცკომბინატს, საკოდიტრო ფაბრიკასა და რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანას, აგრეთვე 10-ათასნომრიანი ახალი ავტომატური ტელეფონის სადგურისა და მკერავთა პროფტექნიკური სასწავლებლის შენობებს. მიმდინარე წელს ქალაქს ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი შეემატება. ამენდება ბევრი მრავალსართულიანი, მათ შორის 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლები. ამენდება აგრეთვე ორი საშუალო სკოლის, სამი საბავშვო ბაღისა და დიდი კაფე-რესტორნის შენობები.

წელს გაგრძელდება საავტომობილო ქარხნის საწნეხ-საძარე კორპუსის და სხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

დღეს დიდი ფეხბურთია

ასეთი მნიშვნელობის მატჩი, ისიც იანვრის მიწურულში, თბილისს ჯერ არ ახსოვს. ამ შეხვედრით დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რადგან ასპარეზობამ უნდა გამოავლინოს ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების ერთ-ერთი ნახევარფინალისტი.

ამიტომაც არის, რომ დღეს თბილისს ბევრი სტუმარი ჰყავს არა მარტო შოტლანდიიდან, არამედ კიევიდან, მოსკოვიდან, ხარკოვიდან და სხვა ქალაქებიდან. მატჩის ირგვლივ არსებობს ერთი საერთო აზრი, რომ ბრძოლა მრავალმხრივი და შეუპოვარი იქნება, პროგნოზებზე კი სპეციალისტები თავს იკავებენ.

გუშინ შოტლანდიელ ფეხბურთელებს უკანასკნელი ვარჯიში ჰქონდათ „დინამოს“ სტადიონზე. ჩვიდმეტივე ფეხბურთელს ვხედავდით მოედანზე. ისინი მთელი მონდომებით გადიოდნენ წვრთნას. მათ შორის იყვნენ გლაზგოს მატჩის გმირი, რ. მერდო